საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №89
2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„მეზღვაურთა სერტიფიცირების პროცესში მოწვეულ ექსპერტთა შერჩევის, მათი საქმიანობის წესისა და ანაზღაურების პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 1 დეკემბრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მეზღვაურთა სერტიფიცირების პროცესში მოწვეულ ექსპერტთა შერჩევის, მათი საქმიანობის წესისა და ანაზღაურების პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 1 დეკემბრის №31 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მოწვეულ ექსპერტთა შერჩევის პირობები სააგენტოს მიერ ცხადდება საჯაროდ წელიწადში ერთხელ.“;

ბ) ბრძანების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

,,4. ამ მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება პირის ექსპერტად პირველად არჩევის შემთხვევაში.“;

გ) ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. წარმოდგენილი დოკუმენტების დადებითად შეფასების შემდგომ, სააგენტო დაინტერესებულ პირს იწვევს გასაუბრებაზე. გასაუბრების შემდეგ სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მოწვეულ ექსპერტად შერჩევის ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ, რასაც წერილობით ატყობინებს დაინტერესებულ მხარეს.“;

დ) ბრძანების მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

,,4. მოწვეული ექსპერტი ვალდებულია:

ა) იცნობდეს საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობას;

ბ) იცნობდეს საზღვაო უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების მიზნებს და ამოცანებს;

გ) იცნობდეს გემზე და ხმელეთზე არსებულ გარე და შიდა პროცესებს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორი **ივანე აბაშიძე**